განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

27.09.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27.09.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა - მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი 0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, საქართველოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიკა ტვილდიანი, საქართველოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის #130 გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 2014 წლიდან. სწავლების ენა - ქართული. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაზე პირველ მიღებაზე არცერთი სტუდენტი არ ფიქსირდება, მეორე მიღებაზე - 11, მესამეზე - 16, მეოთხეზე - 25 და მეხუთე მიღებაზე - 15 სტუდენტია დაფიქსირებული, მაშინ როცა მისაღები კონტიგენტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვრება 50 სტუდენტით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უშუალოდ ადგილზე ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 24 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა 18.00 საათზე და 20.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 25 ივნისს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სამი წევრის შემადგენლობით ამა წლის 25 ივლისს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი, რომლის პირობებშიც ადგილზე შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტთა რიგი ინფორმაცია (აკადემიური პერსონალის შემადგენლობა), დამატებით მოთხოვნილი იქნა ინტერნაციონალიზაციის შეჯამებული დოკუმენტაცია, რომელიც უშაულოდ შესასწავლ პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაცემებს ეხებოდა, ასევე მოითხოვა იმ სილაბუსებისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა/დაზუსტება, რომელიც აკრედიტაციის დოკუმენტაციას თან არ ახლდა.

25 ივლისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან და გაგრძელდა 19.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ერთ სტუდენტთან, სკოლის/ფაკულტეტის წარმომადგენლებთან - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, 2 კურსდამთავრებულთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთ ხელმძღვანელთან და 1 დამსაქმებელთან. პროგრამის ხელმძღვანელთან, სამუშაო მივლინების გამო, ვერ მოხერხდა შეხვედრა და ვერც უშუალოდ ვიზიტის დროს მოხერხდა სკაიპ-ინტერვიუს მეშვეობით გასაუბრება. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით

კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

აკრედიტაციის ჯგუფის მუშაობის აღწერისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ თვითშეფასების ანგარიშის სუსტი და მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოდგენის პირობებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს მოუწია საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ადგილზე შესწავლა და შეგროვება, რამაც მოითხოვა დამატებით 2 დღის მუშაობა და კომისიის მუშაობის შესახებ შესაბამისი ბრძანების შეცვლა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში სრულად აკმაყოფილებს პირველ და მეხუთე სტანდარტს (1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები); მეტწილად აკმაყოფილებს მეორე და მესამე სტანდარტებს (2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;), ხოლო ნაწილობრივაა შესაბამისობაში მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში (4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა).

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია, მოხდეს არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციების (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო, ამერიკა) ფარგლებში შეთავაზებული საგნებისა და კრედიტების პროპორციების დაცვა.
  - რეკომენდირებულია, რომ პროგრამა კონცენტრაციების შემთხვევაში შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით, უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით.
  - მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებისთვის პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული 10 კრედიტიანი პრაქტიკა, როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და ჩანაცვლებული შეიძლება იყოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსებით, რაც, რეკომენდირებულია, რომ გამოიკვეთოს თავად პროგრამის აღწერილობაში.
  - რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე პროგრამაში ინტეგრირდეს ის კურსები, რომელიც დიპლომატიას ეხება.
  - რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელობამ და პროგრამასთან ასოცირებულმა აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა ლექტორებმა შეაჯერონ პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ლიტერატურა და თემატიკა, რათა თავიდან იყოს აცილებული პროგრამაში დღეს, ამ მხრივ არსებული ხარვეზები.
  - რეკომენდირებულია, რომ გადაიხედოს საგნების ნაწილის შემთხვევაში სილაბუსში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობა და მოხდეს ამ მხრივ არსებული გადაცდომების აღმოფხვრა.

- რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს პოლიტიკური კვლევის მეთოდების კურსის მოცულობა იმ მოთხოვნებთან და მასალასთან მიმართებაში, რომლის ათვისებაც სტუდენტებს უწევთ. ამავდროულად, საჭიროა მოხდეს აკადემიური წერის 6-კრედიტიანი საგნის მოცულობის გადახედვაც, რომელიც კვლევის მეთოდების 4 კრედიტიანი სწავლების პირობებში, საკმაოდ არარელევანტურად გამოიყურება.
- რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების გაფართოებასა და ფორმალიზებაზე, რაც შესაძლებელია, მაგალითის სახით, მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შეთავაზების შესაძლებლობით გამოიხატოს და აუცილებელი პირობის სახით პროექტის განსახორციელებლად მასში სტუდენტების ჩართულობას გულისხმობდეს.
- რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ამასთან, აუცილებელია, რომ მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის დაცვა და ერთმანეთისგან სწავლა-სწავლებისა და შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამიჯვნა.
- რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტები, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზირებულია კურსების სპეფიციკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ეს განსაკუთრებით ეხება რეფერატების, პრეზენტაციებსა და ანალიტიკურ ესსეებს.
- რეკომენდირებულია, რომ ესსესა და კაზუსების შემთხვევაში, ტესტირების რელევანტურობა გადაიხედოს და მოხდეს შეფასების კომპონენტის შესაბამისი იდენტიფიცირება.
- რეკომენდირებულია უშუალოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების გაფართოვება, ხელს შეუწყობს სტუდენტებში სფეროს შესახებ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების აკუმულირებას და უფრო კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი კადრების მომზადებას.
- რეკომენდირებულია, რომ სტუდენტთა დასაქმების კუთხით მონაცემების შეგროვება და ანალიზი დაექვემდებაროს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ინდიკატორებს და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისადაც (ბოლო 5 წლის განმავლობაში) ხდებოდეს, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მოთხოვნილი.
- სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდირებულია, რომ გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტის სახით და დეტალურად განისაზღვროს ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების აუცილებლობის პირობებშიც ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და დაცვა.

- რეკომენდირებულია, რომ სამაგისტრო პროგრამასთან ასოცირებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად იდენტიფიცირებულ პირებს ჰქონდეთ ერთნაირი ხედვა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის პირობების, მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ და ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელობამ განახორციელოს შესაბამისი საკონულტაციო აქტივობები, რათა

შეფასების სისტემაც, არ იწვევდეს დაცული ნაშრომების ხარისხთან შესაბამისობის საფუძვლიან ეჭვს, რაც დღეს საკმაოდ მწვავე პრობლემად იკვეთება.

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი გაუმჯობესებისა და ზრდის თვალსაზრისით სასწრაფო ზომების მიღება, რათა პროგრამის შედეგების მიღწევადობა უზრუნველყოფილი იყოს შესამაბისი ადამიანური რესურსებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება კვლევაზე დაფუძნებით წარიმართოს.
- რეკომენდირებულია, გამიჯნულ იქნას უფლება-მოვალეობები სკოლის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის კოორდინატორსა და პროგრამის მენეჯერს შორის.
- რეკომენდირებულია დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რომელთა შესახებ არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. რეკომენდირებულია მოხდეს შესაბამისი რეაგირება იმ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით, რომელთა კვალიფიკაციაც არ დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.
- რეკომენდირებულია, უმაღლეს საგანმანათლებლო მეორე საფეხურის სწავლების პროცესში აცილებული იყოს იმ პირთა ჩართვა, რომლის კომპეტენციებიც მხოლოდ ბაკალავრის დიპლომით დასტურდება.
- რეკომენდირებულია განახლდეს თვითშეფასების ანგარიში და მასში აისახოს რეალური მონაცემები აფილირებული და არააფილირებული აკადემიური პერსონალის შესახებ და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მყოფი პირი პროგრამაში მოხსენიებულ იქნას ასისტენტ-პროფესორად და არა ასოცირებულ პროფესორად.
- რეკომენდირებულია, წარმოდგენილ იქნას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის გასწორებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება ზუსტი დეტალები: მონაწილის სახელი-გვარი; კონფერენციის/ვორქშოფის/ტრენინგის დასახელება; ჩატარების თარიღი; ჩატარების ადგილი.
- რეკომენდირებულია, ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისგენ მიმართული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დამხარებებითა და მხარდაჭერით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო მექანიზმების შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს დაკვირვების კითხვარი, რომელშიც დაზუსტებული იქნება ის, თუ რა ფორმით ხორციელდება დაკვირვება და რა კონკრეტული ინფორმაციის ამოღების მიზნით ხორციელდება ეს დაკვირვება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან დაკვირვება, არამედ ამ პროცესში კოლეგების პროფესიული გამოცდილების გამოყენებაც.
- რეკომენდირებულია, რომ გამრავალფეროვნდეს და მეტი რაოდენობით იქნეს გამოყენებული ხარისხის მართვის დამატებითი ინსტრუმენტები (კურსებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებასთან ერთად განხორციელდეს პროგრამის ყოველწლიური შეფასება ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით; სტუდენტების მიერ კურსების შეფასებას დაემატოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შეფასება, კოლეგიალური შეფასება და ა.შ.) და იმ პრაქტიკას, რაც ინტერვიუებით დადასტურდა

ხარისხის სამსახურისა და თვითშეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან, გაცილებით მეტად ფორმალიზებული და რეგულარული ხასიათი მიეცეს (მაგალითად, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები).

- რეკომენდირებულია, გაცილებით აქტიურად ხორციელდებოდეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული ჰქონდეს მისაღები კონტიგენტის (50 სტუდენტი) სრულად შევსების პირობებში ის, თუ რა გზით არის შესაძლებელი ხარისხის მართვა ასეთ დიდ ჯგუფში და მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფა. რჩევის სახით 2 ჯგუფის დაკომპლექტება იქნებოდა ამ მხრივ გამოსავალი. თუმცა, პროგრამის ხარჯ-ეფექტურობა იქნებოდა დამატებითი აუცილებელი პირობა გასათვალისწინებლად.
  - სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურა გახდეს გაცილებით რეალისტური და წარმოდგენილი 60 საგნიდან მასში დარჩეს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს, რაც სამართლიანობისა და გამჭირვალეობის თვალსაზრისით გაცილებით მისაღებ სურათს შექმნის როგორც სტუდენტების, ისე სხვა დაინტერესებული აქტორებისათვის.
  - სასურველია, რომ პროგრამამ არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციიდან კრედიტების ნაწილის აღება სავალდებულო გახადოს და სტუდენტს რეგიონულ კონცენტრაციაზე სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას.
  - სასურველია, პროგრამის შედეგები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, დაიხვეწოს და დაზუსტდეს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი პროგრამა არ გადის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგზე, პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს, არ აქვთ ვალდებულება მისი გაწერის, ვინაიდან კანონი ამ შედეგის გაწერას არ ითხოვს ვალდებულების სახით.
  - სასურველია, რომ კურსების შედეგების აღწერილობაში, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგის აღმწერი არ იყოს უნიფიცირებული ისეთი ფორმულირების სახით, როგორიცაა „კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს“ (დღევადელი სახით, სილაბუსების უმრავლესობაში გვხვდება სწორედ ასეთი სახით ფორმულირება), ვინაიდან ეს უნარს წარმოადგენს და ნაკლებად შეესაბამება აღნიშული შედეგის აღმწერს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი კურსი არ გადის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგზე, კურსებზე პასუხისმგებელ პირებს, არ აქვთ ვალდებულება მისი გაწერის, ვინაიდან კანონი ამ შედეგის გაწერას არ ითხოვს ვალდებულების სახით.
  - სასურველია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ელექტრონული სისტემა გაცილებით მეტად იყოს გამოყენებული როგორც სასწავლო-მეთოდური საშუალება და სტუდენტებს მასში კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საკითხავი ლიტერატურის ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობა გაუჩნდეთ, ვინაიდან, დღეს სასწავლო მასალის გავრცელების ძირითად წყაროდ, სოციალური მედია ჯგუფები და ელ-ფოსტები სახელდება. შესაბამისად, ელექტრონული სისტემის ამ მხრივ გამოყენება, გაცილებით მისაღებია.

- სასურველია, რომ სამაგისტრო დაცვებს წინ უსწრებდეს წინასწარი დაცვები, რათა იმთავითვე, უშუალოდ დაცვამდე გაკონტროლდეს ნაშრომის ხარისხი.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს ეცნობოს იმ პროგრამული მხარდამჭერი სისტემის შესახებ, რაც პლაგიატის შემთხვევების აღმოსაფხვრელად გამოიყენება და დანერგილია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში- TURNITIN;
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის სემესტრში მაქსიმალურად შეიზღუდოს სხვა აქტივობები (სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა 25 კრედიტითაა განსაზღვრული და ეს იძლევა მინიმუმ ერთი კურსის გავლის აუცილებლობას, თუმცა, ამის მიღმა სხვა ტიპის აქტივობები ან კურსების აღება, რომ იყოს შეზღუდული შეძლებისდაგვარად), რათა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე კონცენტრირებული მუშაობის შესაძლებლობა მიეცეს. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეკომენდაცია მიეცეს თავად სტუდენტს, რომელსაც ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამის 2 წელიწადზე მეტად გადანაწილების პრაქტიკის პირობებში, შესაძლებელია მოუწიოს მეტი კურსის აღება დამასრულებელ სემესტრში;
- ამავდროულად, სასურველია გათვალისწინებული იყოს ხელმძღვანელების პოზიციაც, სტუდენტებთან შეხვედრების ნაწილის ფორმალიზებასთან მიმართებაში, რათა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დატვირთვა მეოთხე სემესტრის განმავლობაში თანაბრად გადანაწილდეს და სემესტრის ბოლოზე არ მოდიოდეს მხოლოდ.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები გაწერილი და გამიჯნული იყოს, მათ შორის დოკუმენტურად, ისევე როგორც სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს საქმიანობა გაწერილი იყოს საუნივერსიტეტო დებულებაში.
- სასურველია ყველა ტიპის სასწავლო მასალის, წიგნისა თუ რიდერის ასახვა ერთიან ელექტრონულ კატალოგში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ერთ-ერთ არჩევით რეგიონალურ კონცენტრაციაში (ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო) ჩართულია საგანი „ჰასბარა და არაღიარების პოლიტიკა“, რომელსაც წაიკითხავენ სპეციალისტები ისრაელიდან. იმ პირობებში, როდესაც არაღიარების პოლიტიკა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, მსგავსი კურსის შემუშავება და დანერგვა მიგვაჩნია საინტერესო პრაქტიკად.
  - მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები მნიშვნელოვნად უფართოებს თვალსაწიერს სტუდენტს რეგიონული, იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პირობებში.
  - უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტთა მომსახურეობის სამმართველო, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების სახით. ასევე, ცალკეული ლექტორები ეხმარებიან სტუდენტებს სტაჟირებების გავლაში სხვადასხვა დაწესებულებებში.
  - სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს არსებობა საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. თუმცა სასრუველია, რომ სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს საქმიანობა აისახოს შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციაში.

- საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს ისრაელის მხარესთან განხორციელებული თანამშრომლობის პირობებში შექმნილი სახელობითი, ელექტრონული ფორმატირებით აღჭურვილი კაბინეტი ჰოლოკოსტის თემატიკაზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კვლევაზე ორიენტირებული მაგისტრი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების თავისებურებებში; თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო თუ უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებულპროცესებში ეროვნულ, საერთაშორისო, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში. გარდა ღრმა და სისტემური ცოდნისა, პროგრამა მიზნად ისახავს, მაგისტრანტს გამოუმუშაოს მიღებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და ანალიზის უნარი, კვლევითი უნარები და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ჩამოთვლილი მიზნები შესაბამისია უსდ მისიასთან, სადაც ხაზგასმულია საექპერტო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება, საექსპერტო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობა. ჩამოთვლილი მიზნები რეალისტურია: ღრმა და სისტემური ცოდნის მიღებას ხელს უწყობს პროგრამაში არსებული რეგიონალური კონცენტრაციები (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე; ევროპა; ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო; ამერიკა) და არჩევითი ზოგადი კონცენტრაციის მრავალფეროვანი და ინტერდისციპლინური საგნები. კვლევითი უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს სამაგისტრო კვლევისთვის გამოყოფილი კრედიტები (25 კრედიტი). ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს უცხო ენების (მეორე უცხო ენა) კონცენტრაცია და უსდ-ს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ევროპისა და აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებთან. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებისთვის პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს 10 კრედიტიან პრაქტიკას. პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია უსდ მიერ და დასტურდება მემორანდუმებით სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ასევე ექსპერტთა ვიზიტის დროს ინტერვიუებით უსდ-ის ადმინისტრაციასთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან, დამსაქმებელთან. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის უსდ იყენებს კითხვარს დამსაქმებლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულება; ○ უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის

კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) :
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს, რა ტიპის ცოდნას და უნარებს შეიძენს მაგისტრანტი სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს გაწერილი შედეგების მიღწევას. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, თანამედროვე უსაფრთხოების საკვანძო საკითხებზე. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. როგორც პირდაპირი (გამოკითხვა, დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური და ფინალური გამოცდები), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდებით. უსდ იყენებს კითხვარებს სასწავლო კურსის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებლისთვის. გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია დიაგრამების სახით. სწავლის შედეგების შეფასებების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან, დამსაქმებელთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან;

○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	[redacted] √			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო საფეხურის პროგრამაზე მიღება ეყრდნობა სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს და პროცედურებს. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ - შემოდგომის სემესტრში. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამაზე მიღების გამოცხადების და კონკურსის შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ეგზავნება შესაბამის სამსახურებს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (A ტესტი), ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში. მაგისტრატურაში სწავლის უფლება ენიჭება უცხოეთის უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან პირველი, მეორე ან/და მესამე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე, ტესტირებისგან თავისუფლდება. ტესტირების ორგანიზებას უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.
- სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ცხადდება 50 სტუდენტისთვის ერთ ჯგუფში, რამაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში გააჩინა კითხვები ჯგუფის სრული დაკომპლექტების შემთხვევაში სწავლის შედეგების მიღწევის რეალისტურობასთან დაკავშირებით ერთი ჯგუფის შემთხვევაში ჯგუფის სიდიდედან გამომდინარე. პასუხად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ პროგრამის ფუნქციონირების პირობებში, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც ფიქსირდება, 25 სტუდენტზე მეტი არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, შედეგების მიღწევადობა ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტთა კონტიგენტის საკმარისობის პირობებში, 50 ადგილზე კონკურსის გამოცხადებას პიარის ნაწილად მოიაზრებს და განმარტავს, რომ სტუდენტების მოზიდვა 50 სტუდენტის მიღების შესაძლებლობის პირობებში გაცილებით უადვილდება, ვიდრე შეზღუდული რაოდენობის პირობებში, ვინაიდან პოტენციურ კანდიდატებს კონკურენციის ნაკლები განცდა აქვთ და გაცილებით მარტივად აკეთებენ არჩევანს პროგრამის სასარგებლოდ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული ჰქონდეს მისაღები კონტიგენტის (50 სტუდენტი) სრულად შევსების პირობებში ის, თუ რა გზით არის შესაძლებელი ხარისხის მართვა ასეთ დიდ ჯგუფში და მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფა. რჩევის სახით 2 ჯგუფის დაკომპლექტება იქნებოდა ამ მხრივ გამოსავალი. თუმცა, პროგრამის ხარჯ-ეფექტურობა იქნებოდა დამატებითი აუცილებელი პირობა გასათვალისწინებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საერთო ჯამში, პროგრამა შედგენილია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, რომელიც გაწერილია ახალი მოთხოვნების საფუძველზე.
- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა იყოფა სამ კომპონენტად: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტი. პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული საკუთარი პროფილით. კვლევით კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 25 კრედიტს. სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 85-95 (მითითებულ კრედიტთა მოცულობა დამოკიდებულია მაგისტრანტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის - 10 კრედიტი, გავლაზე) კრედიტს, საიდანაც 58

კრედიტი გროვდება სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, ხოლო 27-37 კრედიტი შეუძლია სტუდენტმა დააგროვოს: მეორე უცხო ენის არჩევითი კონცენტრაციიდან, არჩვითი ზოგადი კონცენტრაციიდან, არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციიდან (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე - 37 კრედიტი, ევროპა - 28 კრედიტი, ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო- 25 კრედიტი, ამერიკა - 17 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. თუმცა, პროგრამის სტრუქტურულ ელემენტებს შორის პროპორციები არათანაბრადაა გადანაწილებული, როცა საუბარია არჩევით რეგიონულ კონცენტრაციებზე. ამასთან, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული არჩევითი კონცენტრაციიები, ვფიქრობთ, პროგრამის მნიშვნელოვანი უპირატესობაა. თუმცა, საჭიროა, რათა კონცენტრაციების ფარგლებში შემოთავაზებული კურსების რაოდენობა და კრედიტები იყოს გაცილებით მეტად შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით, უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით.

- როგორც ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, სტუდენტებს კონცენტრაციების ფარგლებში შეთავაზებული საგნების გავლის ვალდებულება ფორმალურ ხასიათს ატარებს და სტუდენტებს სხვადასხვა კონცენტრაციებიდან კრედიტების დაგროვების საშუალება ეძლევათ, რაც ეწინააღმდეგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით. დღეს ეს არა ერთი, არამედ რამდენიმე კონცენტრაციის მეშვეობით მიიღწევა, ვინაიდან 27-37 კრედიტი შეუძლია სტუდენტმა დააგროვოს: მეორე უცხო ენის არჩევითი კონცენტრაციიდან, არჩვითი ზოგადი კონცენტრაციიდან, არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციიდან (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე - 37 კრედიტი, ევროპა - 28 კრედიტი, ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო- 25 კრედიტი, ამერიკა - 17 კრედიტი) და არღვევს კონცენტრაციის ლოგიკას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სტუდენტს სასურველის დონეზე სთხოვს, 15 კრედიტის დააგროვებას ერთი რეგიონალური აჩევითი კონცენტრაციის მიხედვით, რათა სიღრმისეულად შეისწავლოს კონკრეტული რეგიონი, აღნიშნული მოთხოვნის შესრულება და შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან სადაოა.
- მნიშვნელოვანია ისიც, რომ წარმოდგენილი 60 სილაბუსიდან, როგორც ეს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმაც დაადასტურა, ნაწილი დღემდე საერთოდ არ ყოფილა შეთავაზებული. ასე მაგალითად, კურსები - ევროპის პოლიტიკური ცხოვრება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რეგიონალური კვლევები: პოსტ- საბჭოთა ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში და სხვა.
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სასურველია, რომ მასში ინტეგრირდეს კურსი/ები დიპლომატიაზეც.
- საერთო ჯამში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა, რეკომენდირებულია, რომ დაცული იყოს კლასიფიკატორის მოთხოვნები.
- პროგრამის შედეგები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში წარმოდგენილია შემდეგი სახით - 3.1. მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. გააჩნია მაღალი

დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე. 3.2. კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებითა და პრაქტიკული მუშაობით, ახდენს ცოდნის გაღრმავებას; თავისუფლად ადაპტირდება ახალ პროფესიულ გარემოსთან; 3.3. პროფესიული საქმიანობისას იცავს დიპლომატიურ, ეთიკურ და აკადემიურ ნორმებს; შეუძლია პარტნიორებისა და კოლეგების აზრის დაფასება და პატივისცემა. აქედან, უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით 3.2. და 3.3. აღწერს უნარს და არა პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. რაც შეეხება 3.1-ს გაცილებით მეტად დასაზუსტებელია, თუ რაში გამოიხატება აღწერილი შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, მოხდეს არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციების (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო, ამერიკა) ფარგლებში შეთავაზებული საგნებისა და კრედიტების პროპორციების დაცვა. • რეკომენდირებულია, რომ პროგრამა კონცენტრაციების შემთხვევაში შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით, უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით. • მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებისთვის პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული 10 კრედიტიანი პრაქტიკა, როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და ჩანაცვლებული შეიძლება იყოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსებით, რაც, რეკომენდირებულია, რომ გამოიკვეთოს თავად პროგრამის აღწერილობაში. • რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე პროგრამაში ინტეგრირდეს ის კურსები, რომელიც დიპლომატიას ეხება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურა გახდეს გაცილებით რეალისტური და წარმოდგენილი 60 საგნიდან მასში დარჩეს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს, რაც სამართლიანობისა და გამჭირვალეობის თვალსაზრისით გაცილებით მისაღებ სურათს შექმნის როგორც სტუდენტების, ისე სხვა დაინტერესებული აქტორებისათვის. • სასურველია, რომ პროგრამამ არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციიდან კრედიტების ნაწილის აღება სავალდებულო გახადოს და სტუდენტს რეგიონულ კონცენტრაციაზე სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას.

- სასურველია, პროგრამის შედეგები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, დაიხვეწოს და დაზუსტდეს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი პროგრამა არ გადის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგზე, პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს, არ აქვთ ვალდებულება მისი გაწერის, ვინაიდან კანონი ამ შედეგის გაწერას არ ითხოვს ვალდებულების სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ერთ-ერთ არჩევით რეგიონალურ კონცენტრაციაში (ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო) ჩართულია საგანი „ჰასბარა და არაღიარების პოლიტიკა“, რომელსაც წაიკითხავენ სპეციალისტები ისრაელიდან. იმ პირობებში, როდესაც არაღიარების პოლიტიკა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, მსგავსი კურსის შემუშავება და დანერგვა მიგვაჩნია საინტერესო პრაქტიკად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ამ მხრივ რიგ კურსებთან მიმართებაში, არსებობს მნიშვნელოვანი შენიშვნები, რომელიც დეტალურადაა განმარტებული ქვევით.
- სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის

სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რიგ კურსებთან მიმართებაში ამ თალსაზრისით, არის მნიშვნელოვანი კითხვებიც.

- სამაგისტრო პროგრამა „ საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია“ შედგება ისეთი კურსებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სფეროს შესახებ ფართო და მრავალფეროვანი ცოდნის აკუმულირებას სტუდენტში. პროგრამა დაყოფილია კონცენტრაციებად, რომლებშიც ყურადღება მახვილდება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონზე. ეს აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას ფოკუსირდეს ერთ-კონკრეტულ რეგიონზე და გაიღრმავოს ცოდნა მის შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული კონცენტრაციის რიგ კურსებში ხდება სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურების განმეორება და შესაბამისად გარკვეული თემატიკების გადაფარვაც. მაგალითად: ახლო აღმოსავლეთის კონცენტრაციის შემდეგ კურსებში: ისლამი ახლო აღმოსავლეთში და იდეოლოგია და პოლიტიკური პრაქტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში სავალდებულო ლიტერატურად ყველა კვირის ფარგლებში მითითებულია ერთი და იგივე წიგნი The Dialectical Conflict of Religious and Secular Ideologies in the Middle East: A Philosophical and Historical Analysis, Mamoon Amin Zaki, Outskirts Press, 2018. ამავდროულად კურსში: იდეოლოგია და პოლიტიკური პრაქტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში, მხოლოდ ორი ლიტერატურა არის მითითებული და აქედან მხოლოდ ერთია სავალდებულო და ვთვლით, რომ მხოლოდ ერთი სავალდებულო ლიტერატურა მაგისტრატურის საფეხურისთვის არ არის საკმარისი. იგივე პრობლემაა კურსში ახლო აღმოსავლეთის დღის წესრიგი. ლიტერატურის და თემატიკის გადაფარვა ფიქსირდება ევროპის კონცენტრაციის კურსებშიც, მაგალითად კურსებში ევროპული ინტეგრაციის ეკონომიკური ასპექტები პირველი კვირის თემატიკა და ლიტერატურა არის იდენტური საერთაშორისო და ევროინტეგრაციის თეორიების კურსის და გარკვეულ კვირებში ასევე ვლინდება ლიტერატურის გამეორება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, მათი მხრიდან სილაბუსების თემატიკების და შინაარსობრივი ნაწილის დადარება არ მომხდარა.
- სილაბუსების ნაწილში ფიქსირდება მნიშვნელოვანი გადაცდომები ლიტერატურის მითითებისა და ლიტერატურის საგნის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით: გასათვალისწინებელია, რომ კურსის - მსოფლიო პოლიტიკა ცივი ომის შემდეგ პირობებში სავალდებულო ლიტერატურა არ არის მითითებული აკადემიურად, რთულია იდენტიფიცირება და სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობის დადგენა. დამატებითი ლიტერატურა საერთოდ არ ფიქსირდება. კურსის - საქართველოს საგარეო პოლიტიკა შემთხვევაში, სილაბუსის შინაარსი ნაწილობრივ შეესაბამება სათაურს და მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას: თემა 5-10 მოიცავს საქართველოს ისტორიის საკითხებს რომის პერიოდიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობამდე, ხოლო ლიტერატურა ძირითადად ასახავს თანამედროვე სამართლებრივ დოკუმენტებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ სილაბუსში გამოყენებულია საგნის „ქართული დიპლომატიის ისტორია“ თემატიკა და სილაბუსი შედგენილია ორი სხვადასხვა სილაბუსის კონპილაციის გზით. კურსის - საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია პირობებში სილაბუსში თემები მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას ვეტფალიის ზავიდან (1648 წ), ხოლო სილაბუსის ბოლოს მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ასახავს მხოლოდ მეოცე საუკუნეს. სილაბუსის სხვადასხვა თემებთან მითითებულია სხვადასხვა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც არ არის მოხსენიებული სილაბუსის ბოლოს სავალდებულო ლიტერატურაში. რჩება შთაბეჭდილება, სილაბუსი შედგენილია ორი სხვადასხვა სილაბუსის მექანიკური კონპილაციის გზით. კურსის- სახელმწიფო კრიზისული სიტუაციების მართვა შემთხვევაში სილაბუსში

ფიქსირდება 2 ლექტორი, ინტერვიუს დროს კი დადასტურდა მხოლოდ ერთი ლექტორის კავშირი სილაბუსთან. სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სილაბუსის შინაარსს.

- პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსთან მიმართებაში, რომელიც 4 კრედიტიანია, აუცილებელია კრედიტების მოცულობის გადახედვა, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის 6 კრედიტიან საგანთან პროპორციულობის დაცვის კუთხითაც, რომელიც ნაკლებრელევანტურად გამოიყურება. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პოლიტიკური კვლევის მეთოდების კურსის კრედიტებისა და საათების უფრო მეტი დაზუსტებით განსაზღვრა, ვინაიდან ის შედეგები, რომელზედაც სტუდენტი აღნიშნული კურსის ფარგლებში გადის (გასათვალისწინებელია, რომ კურსის ფარგლებში სტუდენტებს მინი-კვლევის ჩატარებაც და წარდგენაც უწევთ), გაცილებით მეტ საათობრივ დატვირთვას (როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი) მოითხოვს. დაცული სამაგისტრო ნაშრომების შესწავლამ ასევე გამოკვეთა აღნიშნული კურსის დატვირთვის მოცულობის გაზრდა. იმ პირობებში, როცა დამსაქმებლები, ამ პროგრამის კურსდამთავრებულებისგან სწორედ ანალიტიკური უნარების მქონე კურსდამთავრებულებს ელიან, სასურველია, რომ კურსის მოცულობა გაიზარდოს.
- კურსების შედეგების აღწერილობაში, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგის აღმწერი უნიფიცირებული სახითაა წარმოდგენილი და როგორც წესი, შემოიფარგლება შემდეგი ფორმულირებით - „კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს“, რაც უნარის და არა ამ შედეგის აღმწერია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან და დამსაქმებელთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელობამ და პროგრამასთან ასოცირებულმა აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა ლექტორებმა შეაჯერონ პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ლიტერატურა და თემატიკა, რათა თავიდან იყოს აცილებული პროგრამაში დღეს, ამ მხრივ არსებული ხარვეზები.
- რეკომენდირებულია, რომ გადაიხედოს საგნების ნაწილის შემთხვევაში სილაბუსში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობა და მოხდეს ამ მხრივ არსებული გადაცდომების აღმოფხვრა.
- რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს პოლიტიკური კვლევის მეთოდების კურსის მოცულობა იმ მოთხოვნებთან და მასალასთან მიმართებაში, რომლის ათვისებაც სტუდენტებს უწევთ. ამავდროულად, საჭიროა მოხდეს აკადემიური წერის 6-კრედიტიანი საგნის მოცულობის გადახედვაც, რომელიც კვლევის მეთოდების 4 კრედიტიანი სწავლების პირობებში, საკმაოდ არარელევანტურად გამოიყურება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, რომ კურსების შედეგების აღწერილობაში, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგის აღმწერი არ იყოს უნიფიცირებული ისეთი ფორმულირების სახით, როგორიცაა „კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს“ (დღევადელი სახით, სილაბუსების უმრავლესობაში გვხვდება სწორედ ასეთი სახით ფორმულირება), ვინაიდან ეს უნარს წარმოადგენს და ნაკლებად შეესაბამება აღნიშული შედეგის აღმწერს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი კურსი არ გადის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგზე, კურსებზე პასუხისმგებელ პირებს, არ აქვთ ვალდებულება მისი გაწერის, ვინაიდან კანონი ამ შედეგის გაწერას არ ითხოვს ვალდებულების სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები მნიშვნელოვნად უფართოებს თვალსაწიერს სტუდენტს რეგიონული, იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პირობებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაში წარმდგენილი კურსებისა და აქტივობებს აქვს პოტენციალი, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. თუმცა, 2.3-ში აღწერილი რეკომენდაციების შესაბამისად, აუცილებელია შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, გაცილებით აქტიური მუშაობა.
- მნიშვნელოვანია, რომ გარდა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებისა, სტუდენტებს უნივერსიტეტში არ ეძლევათ კვლევით პროექტებში

ჩართვის შესაძლებლობები. სამეცნიერო პოტენციალის განვითარება დამოკიდებულია პრაქტიკის ობიექტის მუშაობის სპეციფიკაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ორგანიზაცია ანალიტიკურ საქმიანობას ეწევა. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ფიქსირდება პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის მიერ საკუთარ პროექტებში სტუდენტების, ისიც, ხშირ შემთხვევაში, მთარგმნელობითი საქმიანობის პირობები, ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთნ: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების გაფართოებასა და ფორმალიზებაზე, რაც შესაძლებელია, მაგალითის სახით, მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შეთავაზების შესაძლებლობით გამოიხატოს და აუცილებელი პირობის სახით პროექტის განსახორციელებლად მასში სტუდენტების ჩართულობას გულისხმობდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა უმეტესწილად ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის (2007 წლის 5 იანვარი) მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებებია, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა, ხშირად, იდენტიფიცირებულია შეფასების ისეთი მეთოდების სახით, როგორიცაა ესსე, საშინაო დავალება და ა.შ. მგავსი პრობლემა გვხვდება კურსების დიდ ნაწილში.
- ამავე დროს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერილობის დაკონკრეტება, რის გამოც, რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს, რაც დღეს აქტიურად იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ამასთან, აუცილებელია, რომ მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის დაცვა და ერთმანეთისგან სწავლა-სწავლებისა და შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამიჯვნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თუმცა, სასურველია, რომ მასში ხორციელდებოდეს მეტი დეტალიზაციით შესაფასებელი კრიტერიუმის მოთხოვნების გაწერა. ▪ საერთო ჯამში, ყველა კონცენტრაციის კურსების უმრავლესობისთვის დამახასიათებელია შეფასების კომპონენტების იდენტურობა, რომელიც კონცენტრაციების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, საერთოა. კერძოდ, აღმოსავლეთისა და არაბული სამყაროს შემთხვევაში უმეტესწილად მეორდება სემინარზე აქტივობა, ტესტირება, რომელიც, რიგ შემთხვევაში (მაგალითად, კურსები - ისლამი ახლო აღმოსავლეთში, იდეოლოგია და პოლიტიკური პრაქტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში, ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო ურთიერთობებში), ანალიტიკური ესსეს ან კაზუსის ამოხსნის საფუძველზე (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების დღის წესრიგი) განიხილება და საკმაოდ შეუსაბამოა ტესტირებასთან, რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა და საბოლოო გამოცდა. ევროპის კონცენტრაციის კურსების შეფასების კომპონენტებია - სემინარზე აქტივობა, ესსეს მომზადება და პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა და საბოლოო გამოცდა და ა.შ. ▪ გარდა ამისა, პროგრამაში, ძირითადად, სილაბუსებში გამოხატულია მხოლოდ შეფასების ფორმის დასახელება და არ არის ჩაშლილი აღწერილობა იმის, თუ რისი გაკეთება უწევს სტუდენტს შესაბამის კომპონენტში შეფასების მისაღებად. ასევე კურსების უმრავლესობაში შეფასების კომპონენტად მითითებულია რეფერატი ან ანალიტიკური ესსე, თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს აქტიურ გამოყენებაში პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რაც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და

მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთნ: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტები, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზირებულია კურსების სპეფიციკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ეს განსაკუთრებით ეხება რეფერატების, პრეზენტაციებსა და ანალიტიკურ ესსეებს. ▪ რეკომენდირებულია, რომ ესსესა და კაზუსების შემთხვევაში, ტესტირების რელევანტურობა გადაიხედოს და მოხდეს შეფასების კომპონენტის შესაბამისი იდენტიფიცირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ▪ სასურველია, რომ ტურნიტინის პროგრამის შესახებ მაქსიმალურად მეტმა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა, პირმა იცოდეს და მისი გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან [redacted]მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		[redacted]		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდა უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. თუმცა, სასურველი იქნებოდა მეტ სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან შეხვედრა (1 სტუდენტი და 2 კურსდამთავრებული), რაც ზაფხულის პერიოდის გამო, ვერ მოხერხდა. ○ ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დასავლურ და აღმოსავლურ უნივერსიტეტებთან, ფიქსირდება ტელეხიდების პრაქტიკაც, რაც სტუდენტს უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციის საშუალებას აძლევს. თუმცა, კონკრეტულად აღნიშნული პროგრამა რომელ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაციით არის გამორჩეული არ ვლინდება. ასევე სტუდენტი, რომელიც ინტერვიუების მსვლელობისას იყო წარმოდგენილი, ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ. კურსდამთავრებულებმა კი დაადასტურეს, რომ მათი ნაცნობები გაცვლით პროგრამებში საკუთარი ინიციატივით წავიდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში ეს იყო სამუშაო გაცვლითი პროგრამა. ინტერნაციონალიზაციის წარმოდგენილ დოკუმენტში კი არ არის აღწერილი უშუალოდ აღნიშნული პროგრამის სტუდენტების დენადობის სტატისტიკა. ○ ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ადმინისტრაცია (აკადემიური მენეჯერი) აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. სხვადასხვა ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ○ გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს. თუმცა, ელექტრონული სისტემა დღეს ნაკლებად ატარებს სასწავლო-მეთოდურ დატვირთვას და მასში კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საკითხავი ლიტერატურის ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობა არაა დაშვებული. დღეს სასწავლო მასალის გავრცელების ძირითად წყაროდ, სოციალური მედია ჯგუფები და ელ-ფოსტა სახელდება. ○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შეგროვება დღეს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აქტიურად ხორციელდება. თუმცა, არ ხდება მიღებული

კვალიფიკაციის შესაბამისად მონაცემების დაზუსტება. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას ამ ეტაპზე 16 კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთაგან აკრედიტაციის ვიზიტის დროს გასაუბრებაში 2 მათგანმა (საერთო რაოდენობის 12.5 %-ს შეადგენს) და ერთი არ არის დასაქმებული, ხოლო მეორე დასაქმებულია არასპეციალობით, ეჭვქვეშ დგება თვითშეფასების ანგარიშში მითითებული 93-პროცენტიანი სპეციალობის მიხედვით დასაქმების მაჩვენებლების ნამდვილობა. ○ პროგრამის ფარგლებში მოქმედებს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც არჩევითი ხასიათისაა, სტუდენტი პრაქტიკის კურსის არჩევის შემთხვევაში გაივლის სტაჟირებას უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში, რაც უწყობს ხელს სტუდენტის შრომითი უნარების და გამოცდილების ამაღლებას. გარდა ამ შესაძლებლობისა, უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტთა მომსახურეობის სამმართველო, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების სახით. ასევე, ცალკეული ლექტორები ეხმარებიან სტუდენტებს სტაჟირებების გავლაში სხვადასხვა დაწესებულებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია უშუალოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების გაფართოვება, ხელს შეუწყობს სტუდენტებში სფეროს შესახებ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების აკუმულირებას და უფრო კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი კადრების მომზადებას. ○ რეკომენდირებულია, რომ სტუდენტთა დასაქმების კუთხით მონაცემების შეგროვება და ანალიზი დაექვემდებაროს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ინდიკატორებს და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისადაც (ბოლო 5 წლის განმავლობაში) ხდებოდეს, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მოთხოვნილი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ელექტრონული სისტემა გაცილებით მეტად იყოს გამოყენებული როგორც სასწავლო-მეთოდური საშუალება და სტუდენტებს მასში კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საკითხავი ლიტერატურის ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობა გაუჩნდეთ, ვინაიდან, დღეს სასწავლო მასალის გავრცელების ძირითად წყაროდ, სოციალური მედია ჯგუფები და ელ-ფოსტები სახელდება. შესაბამისად, ელექტრონული სისტემის ამ მხრივ გამოყენება, გაცილებით მისაღებია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტთა მომსახურეობის სამმართველო, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების სახით. ასევე, ცალკეული ლექტორები ეხმარებიან სტუდენტებს სტაჟირებების გავლაში სხვადასხვა დაწესებულებებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი არის კვალიფიცური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი, გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში. თუმცა, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე უშუალოდ დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადამოწმებამ ეს ნაკლებად დაადასტურა.
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან. თუმცა, დაცული სამაგისტრო ნაშრომების უშუალო გადამოწმებამ ეს შეფასება შედარებით დაწია.
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი, რომელიც დოქტორანტია და რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს ირჩევენ პიროვნული გამოცდილებისა და თემატიკასთან კავშირის საფუძველზე. ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე. თუმცა, ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ უმჯობესი იქნება საკონსულტაციო შეხვედრების ფორმალიზება მოხდეს და სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის მსვლელობისას განთავისუფლდნენ სხვა კურსებისგან, რომლებსაც ისინი პარალელურად გადიან. ამავე დროს, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა პრაქტიკა, რომლის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა არ მიმდინარეობს ინტენსიურად და რეგულარულად და სტუდენტების მხრიდან აქტიურობა ბოლო კვირეებში დასტურდება.
- თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების, გარკვეული ნაწილი სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებში. მაგალითად, ანოტაცია ინგლისურ ენაზე არა ნაკლებ 300 სიტყვისა, რომელიც მაგისტრატურის დებულების თანახმად უნდა იყოს წარმოდგენილი არ იყო ნაშრომებში. ასევე პრობლემა იყო გამოყენებული ლიტერატურის ნაწილში, სამაგისტრო დონეზე მხოლოდ 5-6 ლიტერატურის მითითებით, რაც ვთვლით, რომ სამაგისტრო ნაშრომისთვის სრულიად შეუსაბამოა. მნიშვნელოვანი ხარვეზია ნაშრომის ელემენტარული ისეთი კომპონენტების არარსებობის პირობებში,

როგორიცაა ნაშრომის აქტუალობა, მიზანი, მეთოდოლოგია და მსგავსი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნაშრომები, რომელიც კომისიის წევრთა შეფასებით C კატეგორიაში ხვდებოდა, აკრედიტაციის კომისიის წევრთა შეფასებით, საერთოდ არ აკმაყოფილებდა სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტებს და არც უნდა მიეღო მინიმალური შეფასებაც კი. შემთხვევითი შერჩევით წარმოდგენილ 5 ნაშრომთაგან 3 სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, თუმცა არც აკადემიურ პერსონალს და არც სტუდენტებს ამის შესახებ არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია და ძირითადად ნაშრომების შემოწმებისას ეყრდნობიან საკუთარ კომპეტენციას დარგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; სკოლის დეკანთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთნ: სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან. ○ საილუსრაციოდ, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე განსაზღვრული 5 სამაგისტრო ნაშრომის შედეგად მიღებული დასკვნები.
რეკომენდაციები: ○ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდირებულია, რომ გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტის სახით და დეტალურად განისაზღვროს ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების აუცილებლობის პირობებშიც ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და დაცვა. ○ რეკომენდირებულია, რომ სამაგისტრო პროგრამასთან ასოცირებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად იდენტიფიცირებულ პირებს ჰქონდეთ ერთნაირი ხედვა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის პირობების, მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ და ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელობამ განახორციელოს შესაბამისი საკონულტაციო აქტივობები, რათა შეფასების სისტემაც, არ იწვევდეს დაცული ნაშრომების ხარისხთან შესაბამისობის საფუძვლიან ეჭვს, რაც დღეს საკმაოდ მწვავე პრობლემად იკვეთება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, რომ სამაგისტრო დაცვებს წინ უსწრებდეს წინასწარი დაცვები, რათა იმთავითვე, უშუალოდ დაცვამდე გაკონტროლდეს ნაშრომის ხარისხი. ○ სასურველია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს ეცნობოს იმ პროგრამული მხარდამჭერი სისტემის შესახებ, რაც პლაგიატის შემთხვევების აღმოსაფხვრელად გამოიყენება და დანერგილია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში- TURNITIN; ○ სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის სემესტრში მაქსიმალურად შეიზღუდოს სხვა აქტივობები (სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა 25 კრედიტითაა განსაზღვრული და ეს იძლევა მინიმუმ ერთი კურსის გავლის აუცილებლობას,

თუმცა, ამის მიღმა სხვა ტიპის აქტივობები ან კურსების აღება, რომ იყოს შეზღუდული შეძლებისდაგვარად), რათა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე კონცენტრირებული მუშაობის შესაძლებლობა მიეცეს. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეკომენდაცია მიეცეს თავად სტუდენტს, რომელსაც ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამის 2 წელიწადზე მეტად გადანაწილების პრაქტიკის პირობებში, შესაძლებელია მოუწიოს მეტი კურსის აღება დამასრულებელ სემესტრში; ○ ამავდროულად, სასურველია გათვალისწინებული იყოს ხელმძღვანელების პოზიციაც, სტუდენტებთან შეხვედრების ნაწილის ფორმალიზებასთან მიმართებაში, რათა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დატვირთვა მეოთხე სემესტრის განმავლობაში თანაბრად გადანაწილდეს და სემესტრის ბოლოზე არ მოდიოდეს მხოლოდ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ხოლო თვითშეფასების დოკუმენტში ასახული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი საკმაოდ მწირად გამოიყურება, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში ბოლო ხუთი წლის მონაცემებით. კერძოდ, პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელით (ბოლო 5 წლის განმავლობაში) - ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა არ აღემატება 12-ს, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 6-ს, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 12-ს და მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დასასტურდა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერას კონფერენციებსა და სხვადასხვა ინიციატივების, მათ შორის მთარგმნელობითი საქმიანობის მხარდაჭერისა და სახელმძღვანელოებზე მუშაობის წახალისების თვალსაზრისით. თუმცა, საჭიროა გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი კონტრიბუციის გაწევა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. მსგავსი საჭიროება დაცული სამაგისტრო ნაშრომების დაბალი ხარისხის პირობებშიც აქტიურად დასტურდება.
- პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი სრულად და თვითშეფასების დოკუმენტში ასახული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ ემთხვევა სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილ რაოდენობას. მიუხედავად ამისა, პროგრამაში ჩართულ იმ პირთა კვალიფიკაცია, რომელთა დოკუმენტაციაც წარმოდგენილია სრულად, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციას. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია 10 აფილირებული პერსონალი (7 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი).
- წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ერთი მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია. წარმოდგენილია მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი, რაც სამაგისტრო სწავლების საფეხურისთვის შეუსაბამოა.
- ინტერვიუების პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს არსებობა საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. თუმცა სასრუველია, რომ სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს საქმიანობა აისახოს შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციაში.

პროგრამის ხელმძღვანელი

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის აქტიურად ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში არ დადასტურდა ინტერვიუებით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან, რადგან პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე კონკრეტულად მისი დასახელება არ ხდებოდა და ჩნდება კითხვები მისი თანამონაწილეობის მასშტაბებისა და ინტენსივობის თაობაზე.
- ინტერვიუების პროცესში მონაწილეობდა პროგრამის კოორდინატორი და არ მონაწილეობდა პროგრამის ხელმძღვანელი, რის შესახებაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია. სამწუხაროდ, არც უშუალოდ ვიზიტის დღეს მოხერხდა მასთან სკაიპ-ინტერვიუს მეშვეობით გასაუბრება. პროგრამის კოორდინატორმა არ დაადასტურა მისი უშუალო პასუხისმგებლობა პროგრამის სილაბუსების ხარისხთან მიმართებაში. შესაბამისად, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული კონკრეტული კითხვების დასმა.

აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია

- თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით: პროგრამაში ჩართულია 11 (თერთმეტი) აკადემიური პერსონალი: 8 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი. მათგან 10 არის აფილირებული: 7 აფილირებული პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი. გასთვალისწინებელია, რომ მათ უშუალოდ სპეციალიზაციის მიმართულებით უდასტურდებათ კვალიფიკაცია. სასწავლო პროცესში ჩართულია 23 მოწვეული პერსონალი. თვითშეფასების დოკუმენტში ასახული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 10/40. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 34/40. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 10/34.
- თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები არ შეესაბამება პროგრამასთან თანდართულ საგნების და ლექტორების სიას, რომლის მიხედვითაც პროგრამაში მონაწილეობს 5 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. მათგან 1 ასოცირებული პროფესორი წარმოდგენილი მოქმედი კონტრაქტით ფიქსირდება ასისტენტ პროფესორად.
- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაში მონაწილეობს 23 მოწვეული პერსონალი. რაოდენობა დასტურდება სამაგისტრო პროგრამაზე თანდართული საგნების და ლექტორების სიის მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (დიპლომი, აკადემიური CV) არ დასტურდება კვალიფიკაცია და სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია 1 ლექტორის შემთხვევაში (წარმოდგენილია ბაკალავრის დიპლომი).

- პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განვითარების კომისიის სხდომის ოქმები;
- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის საბჭოს ოქმი;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია (ბოლო 5 წლის მანძილზე);
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- უსდ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი გაუმჯობესებისა და ზრდის თვალსაზრისით სასწრაფო ზომების მიღება, რათა პროგრამის შედეგების მიღწევადობა უზრუნველყოფილი იყოს შესამაბისი ადამიანური რესურსებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება კვლევაზე დაფუძნებით წარიმართოს.
- რეკომენდირებულია, გამიჯნულ იქნას უფლება-მოვალეობები სკოლის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის კოორდინატორსა და პროგრამის მენეჯერს შორის.
- რეკომენდირებულია დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რომელთა შესახებ არ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. რეკომენდირებულია მოხდეს შესაბამისი რეაგირება იმ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით, რომელთა კვალიფიკაციაც არ დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.
- რეკომენდირებულია, უმაღლეს საგანმანათლებლო მეორე საფეხურის სწავლების პროცესში აცილებული იყოს იმ პირთა ჩართვა, რომლის კომპეტენციებიც მხოლოდ ბაკალავრის დიპლომით დასტურდება.
- რეკომენდირებულია განახლდეს თვითშეფასების ანგარიში და მასში აისახოს

რეალური მონაცემები აფილირებული და არააფილირებული აკადემიური პერსონალის შესახებ და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მყოფი პირი პროგრამაში მოხსენიებულ იქნას ასისტენტ-პროფესორად და არა ასოცირებულ პროფესორად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები გაწერილი და გამიჯნული იყოს, მათ შორის დოკუმენტურად, ისევე როგორც სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს საქმიანობა გაწერილი იყოს საუნივერსიტეტო დებულებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს არსებობა საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. თუმცა სასრუველია, რომ სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს საქმიანობა აისახოს შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **|** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას გამოკითხვებით (თვითშეფასების დოკუმენტი) და შედეგების ანალიზით. ○ უსდ-ს გააჩნია მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის. თუმცა, როგორც პირადი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშიდან დგინდება, არის პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, განსაკუთრებით, სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით, გაუმჯობესების საჭიროება.

- უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „2018-2019 სასწავლო წლის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადამინისტრაციული პერსონალის წახალისების და სამეცნიერო აქტივობა“ არ არის მითითებული ჩამოთვლილი აქტივობების ზუსტი დეტალები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განვითარების კომისიის სხდომის ოქმები;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- 2018-2019 სასწავლო წლის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადამინისტრაციული პერსონალის წახალისების და სამეცნიერო აქტივობა;
- უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება;
- სკოლის დეკანის ბრძანება;
- უსდ სკოლის ბიუჯეტი;
- უსდ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, წარმოდგენილ იქნას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის გასწორებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება ზუსტი დეტალები: მონაწილის სახელი-გვარი; კონფერენციის/ვორქშოფის/ტრენინგის დასახელება; ჩატარების თარიღი; ჩატარების ადგილი.
- რეკომენდირებულია, ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისგენ მიმართული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დამხარებებითა და მხარდაჭერით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო მექანიზმების შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები; ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი; იძებნება პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და რიდერები, თუმცა ელექტრონულ კატალოგში ასახულია მხოლოდ ნაბეჭდი წიგნები, ელ-ვერსიები და რიდერები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში სხვადასხვა ფოლდერებში, გაძნელებულია, რაც ართულებს ლიტერატურის ძებნის პროცესს.
- ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი.
- გამართულად ფუნქციონირებს სასწავლო ბაზები.
- აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ყველა ტიპის სასწავლო მასალის, წიგნისა თუ რიდერის ასახვა ერთიან ელექტრონულ კატალოგში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს ისრაელის მხარესთან განხორციელებული თანამშრომლობის პირობებში შექმნილი სახელობითი, ელექტრონული ფორმატირებით აღჭურვილი კაბინეტი ჰოლოკოსტის თემატიკაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ○ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. შესაბამისობა დადასტურდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუების დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ სკოლის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა			√	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სტუდენტების მიერ კურსების ყოველსემესტრული შეფასება, რომელიც ეგზავნება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. როგორც აკრედიტაციის ჯგუფის ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, აღნიშნული ინფორმაცია გაანალიზებულია ხარისხის სამსახურის მიერ და ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის გადამოწმებამ დაადასტურა, შეფასებების უმეტესწილად პოზიტიურია და რაიმე ტიპის ხელშესახები ცვლილებები ხარისხის მართვის ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით ნაკლებად ფიქსირდება.
- თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, მაგ., მარკეტინგისა და დასაქმების სამსახური, განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და ბიბლიოთეკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2014 წელს პროგრამის გარე შეფასების პროცესში უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განახორციელა რეაკრედიტაციისთვის დოკუმენტაციის მომზადება და უშუალოდ პროგრამის წარდგენა. უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის სხდომის ოქმში წარმოდგენილი რეკომენდაციების დიდი ნაწილი ასახულია პროგრამის განახლებულ რედაქციაში (კურსების მოდიფიცირება, სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება, მათ შორის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, ასევე აკადემიური წერა, საბიბლიოთეკო რესურსების ზრდა და სხვა). ○ თვითშეფასების ანგარიში ასახავს მზადყოფნას გარე შეფასების შედეგების გათალისწინებასთან დაკავშირებით და აღიარებს მათ მნიშვნელობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის სხდომის ოქმი; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად, წელიწადში სულ მცირე ორჯერ ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და ახდენს მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვას, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და აქტიურად იყენებს მას პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ თვიშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს სალექციო პროცესზე სისტემატიურ დაკვირვებას. თუმცა, დაკვირვების მიზნით გამოყენებული კითხვარი, დოკუმენტაციაში წარმოდგენილია არაა და არაა დაზუსტებული, თუ რა ფორმით ხორციელდება ეს დაკვირვება. გარდა ამისა, მნივნელოვანია, რომ ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან დაკვირვება, არამედ ამ პროცესში კოლეგების პროფესიული გამოცდილების გამოყენებაც. ○ მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების დოკუმენტი აქცენტს აკეთებს ხარისხის მართვის ისეთი ინსტრუმენტის აქტიურ გამოყენებაზე, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, თავად დამსაქმებლებთან, იმ მიზეზით, რომ ინტერვიუზე დამსაქმებლებიდან მხოლოდ ერთი ორგანიზაციის - კავკასიური სახლის წარმომადენელი ესწრებოდა, აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა ნაკლებად შეიქმნა. თუმცა, თავად ამ ორგანიზაციის წარმომდგენელმა დამსაქმებელთან შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია ვერ დაადასტურა. თუმცა, არ გამორიცხა, რომ ამ პროცესში მისი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლები შეიძლება ყოფილიყვნენ ჩართული. ○ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუების პროცესში სტუდენტების მხრიდან წარმოდგენილ ერთ სტუდენტსა და ორ კურსდამთავრებულთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ წარმოდგენილი სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში ნაკლებად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახული არ არის, თუმცა ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ კურსდამთავრებულები იყვნენ ჩართულები და მათთან კონსულტაციის შემდეგ ჩაემატა კურსი: საერთაშორისო მოლაპარაკებების ტექნიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები. ○ ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს დაკვირვების კითხვარი, რომელშიც დაზუსტებული იქნება ის, თუ რა ფორმით ხორციელდება დაკვირვება და რა კონკრეტული ინფორმაციის ამოღების მიზნით ხორციელდება ეს დაკვირვება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან დაკვირვება, არამედ ამ პროცესში კოლეგების პროფესიული გამოცდილების გამოყენებაც. ○ რეკომენდირებულია, რომ გამრავალფეროვნდეს და მეტი რაოდენობით იქნეს გამოყენებული ხარისხის მართვის დამატებითი ინსტრუმენტები (კურსებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებასთან ერთად განხორციელდეს პროგრამის ყოველწლიური შეფასება ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით; სტუდენტების მიერ კურსების შეფასებას დაემატოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შეფასება, კოლეგიალური შეფასება და ა.შ.) და იმ პრაქტიკას, რაც ინტერვიუებით დადასტურდა ხარისხის სამსახურისა და თვითშეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან, გაცილებით მეტად ფორმალიზებული და რეგულარული ხასიათი მიეცეს (მაგალითად, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები). ○ რეკომენდირებულია, გაცილებით აქტიურად ხორციელდებოდეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			√	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

გვანცა აბდალაძე

ლიკა ტვლდიანი